№ 40 24 თებერვალი, ოთხშაბათი. 1866—1882 24 თებერვალი, ოთხშაბათი. № 40

დროება

გამოდის უოველ-დღე ორშაბათის გარდა

რედაქცია

ტფილისში ბრიანსკოეს ტფილისკაზე. ივ. მუხრანსკის სახლებში ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის იდრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

ერთის წლისა	9 მან.	სამის თვისა	3 მან.
ნახევრის თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

დროება

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასზე 1 კაპ. [illegible] ასზე ნახევარი კაპ., წვრილებრივი ასოთ ასზე 5 შაური.

თუ ხანგრძლივი შეთანხმება, რედაქცია გაანწარგებს და შეამოკლებს განცხადებას, გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფურცელი კვერ დაუბრუნებს ეკონომს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეული ნომერი „დროებისა“ დაჯდება ერთი შაური.

ამა 1882 წელს ეოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და ამავ თანამშრომლების დახმარებით, რაგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. ჯ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ოვერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით:	9 მან.	სამის თვით	3 „
ნახევრის წლით	5 „	ერთის თვით	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დებრებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოს.“)

ლონდონი, 22 თებერვალს. მაგალინი, რომელმანც ინგლისის კორონაციას დაძმბაჩა ესროლა, ნამდვილად შეშლილი აღმოჩნდა; ამის მამაც ჯაჯიდამ შეშლილი ყოფილა.

პეტერბურღი, 22 თებერვალს. საგლეხო ბანკის მოთავეთა გარდაწყვეტილებით, სესხი ამ ბანკიდამ მხოლოდ იმ გლეხებს მიეცემათ, რომელთაც სრული ნადელი არა აქვთ. ბანკი მისცემს საშუალებას, რომ სრული დაწესებული ნადელი შეიძინონ.

ხარკოვი, 22 თებერვალს. დღეს ხელახლად გაიხსნა ხარკოვის უნივერსიტეტი. შატკეკულების (სტუდენტების კანონების) დარიგება ჯერ კიდევ არ გაუთავებიათ.

ბელგრადი, 22 თებერვალს. ზარბაზნის სროლამ აუწყა დღეს ხალხს, რომ სერბიის მთავარი მილანი სკუპშინამ (პარლამენტმა) კოროლად გამოაცხადა. მთავარი მილანი დათანხმდა.

პეტერბურღის ბირჟა, 22 თებერვ.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	95	62
მეორესი	91	25
მესამესი	91	50
მეოთხესი	91	25
მეხუთესი	90	25
აღმოსავლეთის პირვ.	90	25
აღმოსავლეთის მეორე	90	12
აღმოსავლეთის მესამე	90	25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8	9
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:		
პირველი სესხის	217	50
მეორე სესხის	216	„

100 მანეთი ღირს:

ლონდონი	24	35	პენსი
ამბურღი	207	25	ცენტი
პარიჟი	255	75	სანტიმი
ბერლინი	„	„	პფენიგი

კატკოვის პასუხად

«მოგვარე-მტერი ეოგლისა მტრისაგან უფრო მტერია».

რუსთაველი.

თფილისი, 23 თებერვალს.

უბედურობა რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის ისიც არის, როცა ერთ ვეარს ბეზღობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზღობას ეძახიან, დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზღობა,—ეგ უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილის კაცისა, — პირ-ახდილი დაიარება, არამც თუ უსირცხვილოდ, თავ-მოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მაბეზღარს, . . .

ბეზღობის ასეთის პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა. მაგ საძაგელს ფარ-ხმალის სულ-მოკლეობისას და ჯაბნობისას სამჭედურად აქვს ხოლმე ყოველად გახრწნილი და ამყაყებული გული ჩირქიანის კაცისა და საბერველად კიდევ „შაბაში“ და „ბარაქალა“ იმისთანა კაცებისა, ვისაც ბეზღობა და ერთგულება ერთს ფარდში მოუქცევია და ერთმანეთში განგებ ვერ გაურჩევია.

თვითონ მაგ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, ბეზღის მთქმელს, როგორც იქნება, ადამიანი გაუძლებდა, მოიგერებდა, რომ გამგონი და დამჯერი არა ჰყვანდეს; რომ მაგ საზიზღარის ფარ-ხმალით მორთულს შაბაშის და ბარაქალის ძახილით არ აქებებდეს იმისთანა წმიდა რამ, როგორიც ლიტერატურაა. როცა ლიტერატურა,—ეგ ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საკანძე,—შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთ-მობრმაობა მისის წყობისა უეჭველი.

ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის-ნადები, სულის-წყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ რომ მაბეზღარს ყოველიფე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღ აყრილია. დაბეზღებულს აღარა დარჩება-რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ეგრედ ჩახვეული გრძნობა სალესავია იმისი, რის დაჩლუნგებაც სასურველია ხოლმე...

ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზღობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნის კატკოვის და მის კამპანიის წყალობითა და მხნეობითა. შიდა რუსეთში მაგ ბეზღობას იმოდენა სარბიელი არა აქვს, როგორც რუსეთის სანაპირო ქვეყნებში. ჯერ იმიტომ რომ ეს უკანასკნელნი უმაღლეს მთავრობისაგან შორს არიან, მაშასადამე ტყუილი უფრო ადვილად გასაღდება, რადგანაც შორიდამ ტყუილი და მართალი კარგად ვერ გაირჩევა და თვალი ადვილად მოტყუვდება თვალთ-მაქცის მაბეზღარისაგან. მერმე იმიტომ რომ სანაპირო ქვეყნების მცხოვრებნი უცხოტომის ერნი არიან და მაშასადამე ყოველს ცილის-წამებას იმისთანა სარჩული უდევს, იმისთანა სათავე აქვს რომ ყველაფერი ადვილად დასაჯერია და ფიქრად მოსასველელი.

ეს კარგად იციან ბ-ნ კატკოვის დამქაშებმა და სწორედ ამითაც სარგებლობენ.

მერე ვისგან არის შემდგარი ეს მაბეზღართა რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი საკუთარი და დამშეული კუჭი. ეგ იმისთანა მოხელენი არიან, რომელთაც თავისის ბოროტ-მოქმედებით იმოდენად შეურცხვენიათ თავიანთი თავი, რომ თვით ყოველად შემწყნარებელს ამ გვარებში მთავრობას ველარ შეუწყნარებია იმათი სამსახურში ყოფნა და გამოუყრია. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ჯერ კიდევ თავის ადგილას სხედან და საღერღელი კი აშლიათ მაღლა აცოცვისათვის, ვერას გზით კი ვერ აცოცვილან. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც თავისის უხეიროობით და უნიჭობით ვერას გამხდარან და უნდათ თავი როგორმე გამოიჩანონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო ვხედავთო.

ეს სამივე წყობა მაბეზღართა რაზმისა ერთსა და იმავე კურდღელს ჰსდევნიან დასაჭერად. „აი ქვეყნის ერთგულნი ჩვენა ვართო, ძაღლურის აღღოს აღება ჩვენთვის მოუნიჭებია ღმერთსაო, ჩვენ ყველაფერს ვამხელთ, რასაც სხვანი ხელს აფარებენო და ჯილდოს მაგიერ ჩვენვე გვდევნიან, სამსახურიდამ გვყრიანო, სამსახურში წინ არ მიგვეეგვართო. აბა ერთი ხელში ჩაგვიგდონ რაიმე მოხელეობა და მაშინ ჩვენ ვიცით, რას აღმოვაჩენთო და რამდენს დაფარულს გამოვაქვეყნებთო“, და სხვანი და სხვანი.

ამ გვარის დამქაშების შემწეობით ბ-ნს კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში, ამიტომაც არ დარჩენია არც ერთი რუსეთის ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადგომის სურვილი არ შეეწამოს. ამით თვითონაც იკვებება და თავის დამქაშებსაც ცოტად თუ ბევრად საკვებავ გზას უსნის.

რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მის დამქაშების უწმინდურს გულში სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მიედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურნელებით გროვდება იმ თავ-ახდილ და პირ-მოხეულ აუზში, რომელსაც „Московскія Вѣдомости“ ჰქვიან. ოღონდ კი ორგულობა შეჰსწამეთ რომელსაც ერს რუსეთისას და ბ-ნი კატკოვი ხელ-აპყრობით მოგეგებებათ.

ჩვენს საქართველოზედაც არა ერთხელ გამოუცლაშქრია ბ-ნს კატკოვს, ორგულობა შეუწამებია და გადადგომის სურვილი დაუბრალებია.

ამ უკანასკნელს დროსაც (იხილეთ № 44 „Московскія Вѣдомости“) ერთს ბ-ნ კატკოვის შესაფერს დამქაშს დაუბეჭდია ბ-ნ კატკოვის გაზეთში კორრესპონდენცია ტფილისიდამ. დამქაში პირ-და-პირ ამბობს, რომ ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა, გადადგომის სურვილი მოქმედებსო.

კარგი დროც შეურჩევია. საქართველოში ეხლა ახალი უფროსი მმართველი მოდის. მაბეზღარს უსათუოდ უფიქრნია:—„იქნება ღმერთმა მიპრიანოს და ახალმა მმართველმა მომიკითხოსო, ვინ არის ასეთი ერთგული

რუსეთისაო და კუჭის გასაძლომი ადგილი მამცეს რამეო“.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ შესაძლებელია იქ, საცა დავთრები დაკარგულია, საცა თავი და ბოლო ეეღარავის მიუგნია.

ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ჩვენის სეპარატობის და გადადგომის სურვილის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო და როცა რუსები არდგენენ, მაშინ კი არაო. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში კი არაო. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ გადმომკეთებელი ავტორი დიდის ყოფით მიაცილეს შინ ᲨᲘᲜᲓᲘᲜᲐᲝ და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აკტრისას ᲖᲠᲐᲩᲘᲐᲡᲝ.

ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲐ, რომ საზიზღარი არ იყოს ამისთანა ბეზღი, ამისთანა საბუთებზედ აშენებული! ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, თუ სომხებს რომ ჰსციოდეთ და თეატრი გაათბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია? ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ რომ მოწონებულის თხზულების ავტორს პატივი ჰსცეს და სომეხმა კიდევ თავის აქტრისას საჩუქარი მიართვას, — აქ სეპარატობა რა მოსაყვანია?

რათა შურს ბ-ნს კორრესპონდენტს, რომ ქართველები, თუ სომხები თავიანთ თეატრში დაიარებიან? რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. ᲑᲣᲚᲘ ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. ᲑᲠᲫᲜᲝᲑᲐ თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსადები, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ᲕᲔᲠᲐ ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ იარაღი მის წინაშე უქმია!

მინამ დიდი მთავარი აქ ბძანდებოდაო, ამბობს იგი კორრესპონდენტი, ქართული და სომხური თეატრი არ იყოო და როცა წაბძანდა, მაშინ ხელი შეუწყესო. ᲕᲘᲪᲘᲗ, ნიშანში ვინც ამოულია ბ-ნს კორრესპონდენტს. ᲐᲮᲘᲐ, რატომ სამსახურში არ მიიღო ბ-ნი კორრესპონდენტი! ხომ ქებას დაუწერდა!..

ᲕᲘᲜ არ იცის, რომ ჩვენმა თეატრმა ფეხი აიდგა ჩვენში ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ აქ ბძანების დროს და მისვე დროს მკვიდრად გაიმართა წელში. რასაკვირველია, თვით ქართველების მეცადინეობით მოხდა ეს სასიამოვნო ამბავი და არა გარეშე შემწეობითა: ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან ჰქონია. ᲩᲕᲔᲜ მარტო იმისი მადლობელნი ვიყავით და ვართ, რომ დამშლელი არ გამოგვიჩნდა. ᲡᲮᲕᲐᲡ ვერავინ ვერას დაგვაყვედრებს.

ᲠᲣᲡᲣᲚᲡ თეატრს-კი ამავე ხანებში ხუთი აოას თუმნამდე ფული მიაშველია მთავრობამ, მაგრამ მაინც კი თავი ვერ დაიჭირა. ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲘᲛᲘᲢᲝᲛ რომ შემოსავალი არა ჰქონდა და შემოსავალი არა ჰქონდა, იმიტომ რომ აქაური რუსები რუსულს თეატრში არ დაიარებოდნენ.

მე რომ კორრესპონდენტის ადგილას ვყოფილვიყავ, აქაურს რუსებს ორგულობას შევწამებდი.

ᲔᲡᲔᲗᲘ გულ-გრილობა აქაურის რუსებისა რუსულის თეატრის მიმართ უფრო ძლიერი საბუთი იქნებოდა, რომ აქაურ რუსებისათვის სეპარატისტობა შეეწამა ბ-ნს კორრესპონდენტს, ვიდრე ის უმანკო გულმხურვალება, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ ავტორის გაცილებაში და რომელიც ბ-ნს კორრესპონდენტს თავისი ბეზღის სარჩულად და საბუთად დაუდვია.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ საბუთებით აღჭურვილი მაბეზღარი ისე შესაბრალისი არ არის, როგორც მისი გამგონი და წამქეზებელი ბ-ნი ᲥᲐᲢᲙᲝᲕᲘᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შევგინებინოს, უპატიურება ირ მიეყენებინოს მთელ ქართველობისათვის და მის ეროვნობის ღირსებისათვის. ᲘᲒᲘ ამბობს; რომ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო და ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ რომ ᲑᲝᲓᲤᲠᲣᲡᲐ ᲪᲘᲠᲙᲡ მიჰყიდონ, კარგს იზმენო.

ᲑᲐᲪᲕᲔᲗᲘᲚᲘᲡ კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა ჰსცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკელელად დაცვისათვის არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან, დედა-მიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია—იმისი ეგრედ უკადრისად ხსენებას არ ვიცით რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრედ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში ჰსჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ შეუმწიკველელად და უჩირქოდ გადულოცნია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინა მძლეარობით და სახელით ქართველობას არა ერთხელ დაულვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ᲔᲒ ᲓᲠᲝᲨᲐ, რომელიც ეგეთის საოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ᲔᲒ ᲓᲠᲝᲨᲐ, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრებს და მუსულმანობას და ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲯᲯᲐᲠᲘ თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია, და ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ჩაუბარებია, ᲔᲒ ᲓᲠᲝᲨᲐ, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავ-გამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია მამულისათვის—დღეს ᲔᲒ ᲓᲠᲝᲨᲐ საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაცა კორრესპონდენტმა და ბ-ნმა ᲥᲐᲢᲙᲝᲕᲘᲐ ბანი მიჰსცა.

ᲗᲣ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი ᲥᲐᲢᲙᲝᲕᲘ, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. ᲗᲕᲘᲗ ბარბაროზიც კი არ იკადრებდა ეგრედ გაუპატიურებას მთელის ერისას! მაშ ბარაქალა ᲥᲐᲢᲙᲝᲕᲡ და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროზიც კი ითაკილებდა.

ᲘᲚᲘᲐ ᲯᲐᲒᲯᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲗᲘ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲙᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡ მოგზაურობის თაობაზედ გაზ. „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ“ იწერებიან ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲜ, რომ 21 თებ. დილის 8 საათზე გამოვიდა ნავთსადგურზედაო და აქვე მიეგებენენ იმას ყველა დაწესებულებათა და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნიო; ამ უკანასკნელებს თ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕᲛᲐ უთხრა, რომ მე ვიცნობდი თქვენ მამებს და ახლა თქვენი გაცნობა სასიამოვნოა ჩემთვისაო. შემდეგ მთავარ-მმართებელს დაუვლია ყველა სასამართლო ადგილები სოხუმისა და აგრეთვე პოლკ. ᲕᲔᲓᲔᲜᲡᲙᲘᲡ ბალი.

* * *

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ გაზეთებში იწერებიან, რომ ამ ქალაქში გამოვლის დროს იქაურ სამხედრო პირებს თ. ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲙᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘᲡათვის გაუმართავთ სადილი, რომელზედაც ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ყველა წარჩინებული პირნი დასწრებიან და სურვილი გამოუცხადებიათ იმისთვის, რომ კეთილად შეესრულებინოს თავის ახალი მძიმე თანამდებობის საქმე.

* * *

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამას წინად, რომ გზის სამინისტროს პროექტით, სხვათა შორის, წელს ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖ-ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡა და ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ რკინის გზის კეთებასაც უნდა შესდგომოდნენ. ᲐᲮᲚᲐ „ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ“ იწერებიან, რომ ფინანსთ სამინისტრომ ამ ორი რკინის გზის გაყვანა გამორიცხა იმ გზების სიიდამ, რომლების გაყვანა წელს უნდა დაიწყონო და ამნაირად ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖ-ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡა და ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ გზების გაკეთებას ჯერ-ჯერობით არ შეუდგება ხაზინაო.

* * *

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ქ. ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲨᲘ წელს ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელს ხსნიანო.

* * *

ᲩᲕᲔᲜ შევიტყეთ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მაზრის თავად-აზნაურობას გარდაუწყვეტია, სთხოვონ უმაღლეს მთავრობას, რომ ის რეალურ-სამეურნეო ექვს-კლასიანი სასწავლებელი, რომლის გამართვასაც სოფ. ᲡᲐᲪᲮᲔᲜᲘᲡᲨᲘ აპირებენ, ამ ქალაქში გამართონ. ᲗᲣ ეს შეუ[illegible] მდგომლობა შეესრულდაო, ჩვ[illegible] ჩვენის მხრით სამადლო საქმეა და [illegible] ᲪᲮᲝᲡᲢᲜᲔ ადგილს მივცემთ სასწავლ[illegible] ბელსაო და ამას გარდა სახლსაც [illegible] შენებთო.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲪᲮᲔᲜᲘᲡᲨᲘ გამართვა [illegible] სასწავლებლისა ჯერ საბოლოოდ გ[illegible] დაწყვეტილი არ არის, რადგან ეს [illegible] ფელი მხოლოდ ბ. მზრუნველს [illegible] ნოვსკისაგან არის ამორჩეული, [illegible] ტომ, თუ მარჯვედ იქნებიან თელ[illegible] ველები და საცა რიგია მეცადინეობ[illegible] არ დააკლებენ, იმედია, იმათ შ[illegible] მდგომლობასა და მეცადინეობას უმ[illegible] ლესი მთავრობა შეიწყნარებს მით უ[illegible] რო, რომ ადვილად მისახდომია, [illegible] ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ბევრი უპირატესობა [illegible] ᲡᲐᲪᲮᲔᲜᲘᲡზედაც და ᲡᲘᲚᲜᲐᲚზედაც...

* * *

ᲑᲐᲖ. „ᲠᲣᲡᲘᲡ ᲥᲣᲠᲘᲔᲠᲘᲡ“ გაუგონ[illegible] რომ რუსული წიგნების გამომცემელ[illegible] ᲑᲚᲐᲖᲣᲜᲝᲕᲘ პოეტის ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝ[illegible] თხზულებათა ახალ გამოცემას ამ[illegible] დებს და ეს გამოცემა სურათებ[illegible] იქნებაო. სურათების დასახატავად ᲑᲚ[illegible] ზუნოვს მოუწვევია პარიჟის რამდენ[illegible] მხატვარი, რომელნიც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ [illegible] დიან იმის ხარჯით, რათა დაათვალ[illegible] ერონ ის ადგილები, რომელნ[illegible] ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡ თხზულებებში არ[illegible] აწერილი და უფრო ნამდვილი სურ[illegible] თები დახატონო.

* * *

ᲑᲐᲕᲚᲘᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, დილით, ᲗᲤᲘᲚ[illegible] სის კლუბში იყო კონცერტი რ[illegible] ლის შემოსავალი დანიშნული [illegible] იმ სომხის მასწავლებელთა კრებ[illegible] ვის, რომელიც ამ წლის შემოდ[illegible] მაზე იქნება ჩვენს ქალაქში. დიდ[illegible] ლი ხალხი დაესწრო ამ კონცერ[illegible] და, როგორც ამბობენ, ხარჯს გა[illegible] ხსენებულ მიზნისათვის ას თუმნამდ[illegible] დარჩაო.

* * *

ᲑᲝᲠᲘᲡ მაზრის სოფელ ეაყის მღვ[illegible] ლი მ. Ი. მახარობლიძე შემდეგ [illegible] რებულ ამბავს გვწერს:

„ᲐᲛᲐ მდგომარის თებერვლის თ[illegible] 4-ს ჩემ-და რწმუნებულს ეკლეს[illegible] სამრეკლოში ერთს გლეხს დაებ[illegible] შვილი მამათა სქესისა, რომელ[illegible] მარჯვენა ხელი მაჯაში აქვს გადა[illegible] რილი, მარცხენა ხელი ნიდაყვში [illegible] მარცხენა ფეხი მუხლში. ᲐᲛ დამბ[illegible] ჯებულის ასოების წვერებზედ [illegible] გადაკრული ტყავი, რომელიც [illegible] რად ნაზია, მინამ მთელი ტ[illegible] ტყავი. მარჯვენა ფეხის ქუსლი [illegible] ნით მხარეზე ამორილი აქვს. [illegible] ფეხი თითებისკენ გაწვრილებ[illegible] აქვს და შიგნითკენ შელრეჯილი [illegible] ზედ ასხია 4 თითო: ცერი, მე[illegible] თითი და მესამე; მეოთხე თითი [illegible] აქვს, და ნეკი მესამე თითის ზურ[illegible] და არის გამობმული. ᲗᲘᲗᲔᲑᲡ ფ[illegible] ლები საღი აქვთ.

„ᲡᲮᲕᲐ ასოები ახალ დაბადებ[illegible] ყველა სრული და მთელი აქვს. [illegible] თონაც ჯან მრთელი და ძ[illegible] ცოცხალი ჩჩვილი არის.“

რუსეთი

(გაზეთებიდან)

რუსეთში დაარსდება ამ მოკლეს ხანში ახალი საზოგადოება ცეცხლისაგან ზღვევისა დიდის თანხით, რომელიც მიიღებს საზღვევად რუსეთის ყველა ქალაქების და სოფლების ქონებათა. ეს საზოგადოება განსხვავებული იქნება ეხლა არსებულ ამ გვარიე საზოგადოებათაგან იმით, რომ გარდასახადიც ნაკლე ექნება დაწესებული დაზღვეულ მამულებზედ და არც სამზღვარ გარეთის მზღვეველ საზოგადოებებში გადიტანს მასთან დაზღვეულ ქონებათა, როგორც რუსეთის სხვა საზოგადოებანი შვრებიან.

—

ღენ. სკობელევმა ისეთი ყურადღება მიიქცია მთელის ევროპისა თავის წარმოთქმულის სიტყვების გამო პარიჟში, რომ თითო მის ფეხის გადადგმასაც კი ყურადღებას აქცევენ ამ ჟამად. იწერებოდნენ, ღენერალი პარიჟიდამ ჭნევაში გადავა, იქედამ ბავარიის ქალაქ მიუნხენზე გაივლის და პირდაპირ პეტერბურღში დაბრუნდებაო. იმასაც იწერებიან, ღენერალი ლონდონში იმყოფება და თავის დედის გვარით მოგზაურობსო. ბერლინელი ოფიციალური გაზეთი კი იწერება, ღენერალ სკობელევს მიწერილობა მიუვიდა პეტერბურღიდამ დაუყოვნებლივ დაბრუნდეს იქაო. ამ შენიშვნას დაჰაძენს პეტერბურღის ნემეცური გაზეთი, რომ უკვე მიღებულიაო ზომები, დღეიდამ არც ერთმა სახელმწიფო სამსახურში წარჩინებულმა პირმა ალარ შეიძლოს გარეკა უმაღლეს პოლიტიკაშიო. სკობელევის სიტყვებისაგან ატეხილი ხმაურობა კი ჩვენ სრულიად დაბოლოვებულად მიგვაჩნია პოლიტიკურის შეხედულობით. მაგრამ, საჭიროდ ვრაცხთ, ზოგ მშიშარა და ეჭვიანებისათვის დაუმატოთ კიდევ, რომ რუსეთი შემდეგშიაც არ დაარღვევს ბერმანიასთან და ავსტრიასთან კეთილგანწყობილებას.

იმედია, ეს ჩვენი ნამდვილი ცნობა, ყურადღებაში მიღებული იქნება ჩვენი მოსამზღვრე სახელმწიფოთა ბეჭედისაგანაც და თავს დაანებებს რუსეთისათვის შეურაცხმყოფელ სიტყვების სროლას, თავს დაანებს იმ ხმების გარცელებას, ვითომ რუსეთის მმართებლობა იწონებდეს ღენ. სკობელევის წინდაუხედავ მოქმედებას.

—

ბერლინიდამ იწერემიან, აქ ჩამოვიდა რუსეთის პარიჟელი ელჩი თ. ოლროვი, ინახულა ჯერ აქაური რუსის ელჩი საბუროვი, მემრე ბერმანიის ტახტის მემკვიდრე, შემდეგ მიღებულ იქმნა ბერმანიის იმპერატორისაგან და სადილი თავ. ბისმარკთან სჭაჭლაო.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. პარიჟი, 22 (10) თებერვალს. („დროების“ კორრესპონდენცია). ერთი-მეორეზედ მოხდა ფინანსიური და სამინისტრო კრიზისი. ფინანსიური დაწესებულება (ბანკი) „უნიონ ჟენერალ“, რომელიც განსაკუთრებით მონარხიელების და კლერიკალების ფულებით იყო დაფუძნებული, გაკოტრდა. ამ ამბავმა ძრიელ ააღელვა აქაური კაპიტალისტები. დირექტორები ხსენებულ ბანკისა ბ. ბონტუ და ფედერი მაშინვე დაიჭირეს, როგორც ბანკის გაკოტრების ხმა გავარდა.

ბრაფ შამბორმა, ოლლეანის პრინცმა და გერცოგ ბროჰლიმ — თითომ რამოდენიმე მილიონი დაჰკარგეს.

მიზეზი ამ მოულოდნელი „კრახისა“, გაკოტრებისა არის ბონტუსაგან ხელოვნურად ბირჟის კურსების აწევაზე და უკიდურეს ხარისხამდე მიყვანილი სპეკულიაცია.

ბერცოგ ბროჰლიმ თავისი ძალისა და უფლების საფრანგეთში გასავრცელებლად 1878 წელს დააარსა „უნიონი ჟენერალი“, რომლის დირექტორადაც დააყენა ბატ. ბონტუ. პირველს წელს კამპანიის კაპიტალი (თავნი ფული) შეგროვდა ოთხმოცდა-ხუთ მილიონ ფრანკამდი. შემდეგ წელიწადებში ეს კაპიტალი იზრდებოდა წლობით კი არა, შეიძლება კაცმა თქვას, დღეობით და საათობით. ასე რომ პირვანდელი კაპიტალი, გამოცდილის გამდელის წყალობით, ოთხი წლის განმავლობაში, 250 მილიონად გარდაიქცა!

ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ და ავსტრო-ვენგრიის იმპერიაში ბ. ბონტუმ მაგრად მოიდგა ფეხი. უმეტეს ნაწილ თავის ფინანსიურ ოპერაციებს იქ ახდენდა. ამ მხარეებში ბონტუ ისე გრძნობდა თავის თავს, როგორც მგელი ცხვრის ფარაში; დაბრკოლება არსაიდამ ჰქონდა. სერბიაში, მაგალითად, ბ. ბონტუმ, მთავარის მილანის შემწეობით, რკინის გზების გაყვანის იჯარა ჩაიგდო ხელში, თუმცალა რადიკალურ პარტიას არ უნდოდა, რომ ამისთანა გაიძვერა კაცის ხელში ჩავარდნილიყო ეს საქმე. ვინ მოთვლის იმ მემამულეების საჩივარს, წყევლა-კრულვას, რომლებისაგან ბონტუმ შეისყიდა რკინის გზის გასაყვანად მამულები!

ევროპაში, სადაც თითქმის ყოველივე დაფუძნებულია კაპიტალისტურ დასაწყისზედ, „უნიონ ჟენერალებისთანა“ ბანკები ყოველ ნაბიჯზე იპოვება. თითოეული ამათგანი იმას ცდილობს, რომ თავისი მილიონების რიცხვი გარდაემეტებოდეს სხვებისას. ერთი კამპანია ანუ საააქციონერო ბანკი მაგ. აცხადებს, რომ ორასი მილიონი კაპიტალი (თავნი ფული) გვაქვსო; მეორე უფრო შორს მიდის, სამასი მილიონი მაქვსო, გაიძახის, და ოქროს მთებს ჰპირდება, ვინც იმასთან ფულს შეიტანს შესანახად.

ამ კაპიტალისტებს კარგად აქვთ გაგებული აზრი და მნიშვნელობა პოლიტიკურის ჭეშმარიტებისა: „ერთობა წარმოშობს ძალას“. ესენი (კაპიტალისტნი) აგროვებენ ერთად თავიანთ მილიონებს, არჩევენ გამოჭნილ დირექტორებს და მალე აჩენენ სხვადა-სხვა ქვეყნებში და ქალაქებში სავჭრო სახლებს; შემდეგ საუკეთესო ტყე-მიწები, სახლები, ქარხნები, რკინის გზის გაყვანის მონოპოლიები და სხვა-და-სხვა პოდრიადების საქმეები ამ ას-თაიან ევშაპის მზგავს კამპანიის ბრჭყალებში ვარდება.

ადრე იქნება თუ გვიან, ამ გვარიე კამპანია ოდესილი იქნება თუ საფრანგეთელი, ეს სულ ერთია, თავზედ დასხმას ჩვენც მოგვინდომებს. ძველი დროის ალა-მაჰმად-ხანის ან შაჰ-აბაზის მაგიერად, ახალი დროის ვინმე ბონტუ მოინდომებს ჩვენს განადგურებას, რასაკვირველია, ეკონომიური მხრით. ფრთხილად უნდა ვიყვნეთ ამ დროისთვის. მაგრამ იტყვიან: რუსის მუჭიკი პირჯვარს არ გარდიწერს სანამ მეხი არ გავარდებაო. ასე არ მოგვიხდეს ჩვენც.

ად. დიდი.

ნარევი

—

ერთ გამოჩენილ ბერმანიის იმპერატორის კარის მხატვარს უთხოვნია იმპერატორისათვის, მიეცეს მას ნება შავის არწივის ორდენის დღესასწაულზე დასწრებისა და ამ დღესასწაულის დიდის სურათის დახატვისა. იმპერატორმა ნება დართო ბხატვარს; მშვენიერი ალაგი აუჩინეს იმას, საიდამაც ყველაფერს ხედავდა. მხატვარმა შავად გამოხატა სურათი და შესრულებამდის იმპერატორს წარუდგინა დასახედავად. სურათი წარმოადგენდა იმპერატორ ვილჰელმს ტახტზედ მჯდომარეს, მარჯვნივ უდგნენ სასახლის პრინცები, მარცხნივ ამალი. ტახტის წინა დგას გერმ. ტახტის მემკვიდრე, რომელსაც ერთი ფეხი ტახტის კიბეზე აქვს ჩამობჯენილი. მეორე დღეს მხატვარს მიუვა სურათი, რომელზედაც მემკვიდრის ფეხი ამოშლილია და იქვე იმპერატორის ხელ-მოწერილია: „ჯერ არა! ვილჰელმ.“

* * *

ერთი სომეხი ვაჭარი ჩასულა ბერლინში. ვაჭარი ხამი ყოფილა ჯერ ამ დიდს ქალაქში. დაუქირაეებია ოთახი „ოქროს ცხვრის“ სასტუმროში. ნასაუზმევს ვაჭარი გამოსულა სასტუმროდამ და ქალაქის დასახედავად გაუსეირნებია. თითქმის საღამომდის უვლია და შემდეგ სასტუმროში დაბრნება როცა მოუნდომებია, თავის ადრესი დაავიწყდა! სასტუმრო აღმოსავლეთისაკენაა, ვაჭარი დასავლეთისაკენ მიდის. აბერ ბინდმაც მოაწია. წარმოიდგინეთ ვაჭრის მდგომარეობა უცხო ქვეყანაში, რომლის ენის „ინჩიც“ არ იცის; რა ჰქნას? დიდს ხანს უტკეპნია საწყალს ქუჩები, ბევრისთვის უკითხავს, მაგრამ ვერავისთვის ვერა გაუგებინებია-რა. ბოლოს, ერთიც ენახოთ, სომეხს აზრი მოუვა თავში: ამოუღია ერთი ოქროს ფული დაუდვია ხელის გულზე და ვისაც გამველელ გამომველელს შეხვდება, ცხვარივით მიაბღავლებს: ბეე! და თან ამ ოქროზედ უჩვენებს, ვითომ რა არის ოქროს ცხვარის სასტუმრო მიჩვენეთო. აბა ვინ რა გაუგოს, თუ საწყალ ვაჭარის ამ გვარ მოქმედებაში რა ბაიდუმლო იფარება. არც პოლიციას ეფიქრნია დიდსხანს: გიჟად უცვლია, აუსვია ხელი და-საგიჟეში. ბედნიერ, ბედნიერ შეხვედრია სომეხს ვიღაც თავის ქვეყნის კაცი, რომელსაც ბეე-ს სამაგიეროდ ყველაფერი აუხსნია პოლიციელებისათვის და დაუხსნია სრულ გონებიანი ვაჭარი გიჟობის შეწამებისაგან და საგიჟედამ.

* * *

ამ ვაჭრის ამ გვარს მოსაზრებას შემდეგ, ეხლა კურდღლების მოსაზრებაზედაც მოეისმინოთ.

რამოდენიმე მონადირენი წადგომიან კურდღლების ხროვას, ოცამდის იყო თურმე. უცბად უხვევიათ თავი, შემოხვევიან გარს და უახლოვდებიან ყოველის მხრიდამ კურდღლების ხროვას. რა ჰქნან კურდღლებმა? დიდხანს არ უფიქრნიათ, სწორედ დიპლომატურად გარდაუწყვეტიათ: რაც ესე გაჩერება ვარგა და არც გაფანტვა — ერთად, შეკრულის რაზმით, ჯგუფად უსკუპნიათ და გაუგლეჯიათ მონადირეთა წრე. მხოლოდ ორს შეუწირავს სიცოცხლე, დანარჩენთ შერჩენიათ.

* * *

ლორდ ქვიკს უცნობებია დეპეშით, მოვდივარო და ოთახები დამიმზადეთო. სასტუმროს პატრონი დაფაცურებულა. გაზაფხულია. 8 საათზე ლორდი ჩამოხტება სასტუმროში. შედის თავის ოთახებში და ჰხედავს, რომ გაზაფხულში, 8 საათზე, როდესაც ჯერ კიდევ სინათლეა თითქმის, ყველა კანკელებში ბჟყვინავს სანთლები 24 ღერამდე. მაშინვე უბრძანებია დაჰჭრობა სანთლების და მოუსვენია. მეორე დილით წარდგენილს ანგარიშში ჰკითხულობს 24 ღერ. სანთლის ფასს. ეს ფასიც გარდაუხდია — მიუდგამ სკამი და ყველა სანთლები ამოუღია კანკლებიდამ, ორი იქვე ანგარიშის მომრთმეელისათვის მიუცია: ეს შენ საჩუქარიო! და ასე ამნაირად ყველა სანთლები დაურიგნია სასტუმროს მსახურთათვის. — ამ გვარი ანგარიში არც ჩვენში არის უცხო, ჩვენი სასტუმროების პატრონთაგან.

* * *

მალაზიის წინ (ვენაში) დგას ქალი და ათვალიერებს სურათებს. უეცრად იგრძნობს, რომ ჯიბეში ვიღაც ხელს უყოფს, მობრუნდება და დაინახავს კარგად ცნობილ დასის ერთ მოხელეთაგან.. „ეს არის ცხვირ-სახოცი ამომართვით თქვენ, გთხოვთ დამიბრუნოთ,“ ენერგიულის ხმით შეეფახა ქურდი ქალმა. „—ემ წანში, ქალბატონო, მაგრამ მე ძლიერ გამიჭირდება თქვენი ცხვირ-სახოცის გამოცნობა და, თუ შეიძლება თითონ გამოიცანით“, თავაზიანად მიუგო ქურდმა და ამოიღო ჯიბიდამ ერთი გროვა ცხვირ სახოცები. ძალმა ამოირჩია თავისი ცხვირ-სახოცი და პატიოსანმა ქურდმა განაგრძო თავისი გზა. — არც ამ გვარ შემთხვევებსა ვართ ჩვენ მოკლებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რასაც ამოგართმევენ ჩვენი ჯიბგირები, უნდა გამოეთხოვო.

* * *

რუსეთში, რიაზანის გუბერნიაში არისო ერთი ახირებული სანახაობა: რვა წლის ყმაწვილს თურმე სქელი წვერ-ულვაში ამოუვიდა. პირველ შეხედვაზედ ყმაწვილის სახე ხნიერის სახეს მოგაგონებს. ამბობენ, გონებიანი ყმაწვილიაო და ამ ჟამად სკოლაში ერთ პირველ მოსწავლეთაგანიაო. ყმაწვილი სრულიად კმაყო-

ფილია თურმე თავის ბედისა, მაგრამ ხან-დის-ხან ამხანაგების დაცინვა აწუხებს, თუმცა პასუხს კი აძლევს და ბევრსაც სცემსო—საკმაო ფიზიკური ღონეც აქვსო. ეს უმაწვილი სურს თურმე მამას წაიყვანოს მომავალ მოსკოვის გამოფენაზე.

თფილისის სამკურნალო

ავთმოფოები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარეგანი და ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; ველდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავთმოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; ველდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავთმოფობისა; ველდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; ველდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავთმოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოფობისა; ველდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; ველდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავთმოფობისა.

განცხადებანი

ისყიდება ორი ცხენი ახალ-თეკეს ჯინშისა „ყარა-ბაირი“, ერთი ფაშატი და მეორე ულაყი. ცხენების ნახვა და ფასის შეტყობა შეიძლება სადოვის ქუჩაზე, ბრიგოლ მელიქოვის სახლში, № 43. (5—3)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

ქრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ანგარიში
საბუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა
1881 წლისა.

	მან.	კაპ.
წილის ფული — —	3,385	91
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	2,974	41
სათადარიგო თანხა —	201	58
მოგება— — — —	78	15
სულ	6,640	5

	მან.	კაპ.
გასესხებული — —	5,886	80
დანაშთენი:		
ნაღდ ფულად — —	653	25
თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი	100	„
სულ	6,640	5

1880 წელსა:

შემოსავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული — —	473	11
სარგებელი, გამორთმეული სესხობის ანუ მეორე ვადის მიცემის დროს — — —	810	35
ჯარიმა — — —	132	65
დაბრუნებული სესხები—	5,120	80
სათადარიგო თანხა —	18	41
სულ	6,555	32

გასავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული — —	356	93
1880 წლის მოგებიდგან წილებზედ მიცემული—	11	„
გასესხებული — —	6,347	„
სარგებელი მიცემული ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხისა— —	1	14
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	84	40
სამმართველოზედ — —	19	55
აღებ-მიცემისა — —	55	15
სულ	6,875	17

1-ს იანვრისათვის 1882 წლისა არის

	მან.	კაპ.
წილის ფული — —	3,502	9
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	2,890	1
სათადარიგო თანხა —	219	99
მოგება— — — —	934	31
სულ	7,546	40

	მან.	კაპ.
გასესხებული — —	7,113	„
დანაშთენი:		
ნაღდ ფულად — —	333	40
თფილისის საურთიერთო ნდობის საზოვადოებაში საწევრო შესატანი	100	„
სულ	7,546	40

გამოუვანა მოგებისა ანუ ზიანისა 1881 წლისა

1-ს იანვარსა 1881 წელსა იყო:

მოგება— — — —	78	15	ზარალი — — —	„	„

1881 წელში:

შემოსავალი:	მან.	კაპ.
სარგებელი გამორთმეული გასესხების ანუ მეორე ვადის მიცემის დროს	810	35
ჯარიმა — — —	132	65
სულ	943	„

გასავალი:	მან.	კაპ.
წმინდა მოგებიდგან 1880 წ.		
ა) წილის ფულზედ მითვლილი — — —	47	74
ბ) სათადარიგო თანხაზედ	18	41
სარგებელი ვადაზედ წინ დაბრუნებულის სესხებისა	1	14
სამმართველოს ხარჯი —	19	55
სულ	86	84

1-ს იანვარს 1882 წელს არის:

მოგება— — — —	934	31			

საზოგადო ერილობის გარდაწყვეტილებით 17 იანვარს 1882 **წელსა**, 1881 **წლის მოგება** მიეთვალა:

	მან.	კაპ.
სარგებელი მისაცემი სასარგებლოდ შემოტანილის ფულებისა	114	10
სათადარიგო თანხას — — — — — — — —	80	80
მოგება წილზედ 1881-ს წლისა — — — — — —	541	76
სამმართველოს ჯილდოდ — — — — — — —	150	„
ს.-პეტერბურლის კომიტეტის განყოფილების სასარგებლოდ —	7	„
სარგებელი მიუცემელი 1880 წლისა — — — — —	12	„
შესადგენად თანხისა განსვენებულის თ. ა. ილ. ვასილჩიკოვის სახელობაზედ — — — — — — — — —	8	„
ენისლის სკოლის სასარგებლოდ — — — — — —	20	65
სულ	934	31

თავსმჯდომარე რჩევისა თ. გიორგი დავითის-ძე ჯორჯაძე.

წევრნი რჩევისა: ივანე დათიას'შვილი, ნინიკო მჭედლის'შვილი, ლაზარე ნერსესაშვილი, სვიმონ ხეჩიას'შვილი და ლევან ხატიაშვილი.

წევრნი გამგეობისა: ნიკო ხატიაშვილი, ნიკო ქონჭოშვილი, ფრიდონ ველიაშვილი.

(3—1)

ისყიდება

25% ნაღდ ფულად [illegible] ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, [illegible] რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქანები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოები, ფოდნოსები, ბირის-სანბანი, კვიტები, სამურველი, ტანისამოსის საკეთები, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბალჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, [illegible] ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, ბირისხოტი, ცხვირის-სახოცი, ბულქები, ტუალეტის სანონი, დუნაი, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინინა, ფორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი [illegible] ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის** [illegible] **ლაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა[illegible] დათ: ფუთობით 40, 46, 52 და [illegible] მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. [illegible] კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. [illegible] კ., 1 მ. 80., და უბრალული ხარისხი [illegible] 2 მ.—წონა უქადალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს [illegible] კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—[illegible] მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ[illegible] უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის [illegible] ნები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-[illegible] დუნ., ალბომები ნასვეარ ფასად, ფილ[illegible] ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფ[illegible] ბისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—85)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბ[illegible] ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი Иоанн[illegible] სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ[illegible] გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

ტაძრის

ავკეპავ ხორაგეულებათა, რომელნი[illegible] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ[illegible] ნებში და დატარებით 16 თებერვლიდან[illegible] 1 მარტამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	3½	[illegible]
მესამის „	—1 გირ.	—	[illegible]

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ[illegible]

პირველის ხარისხის	—1 გირ.	6	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	4	[illegible]

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 გირ.	7	[illegible]
მეორის „ „	—1 გირ.	5	[illegible]
მესამის „ „	—1 გირ.	4½	[illegible]

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	9	[illegible]
სუკი — —	—1 გირ.	16	[illegible]
ცხვრის ხორცი	1 გირ.	12	[illegible]

ლორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	—	[illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Февраля 1882 г. *Типографія Меликова* ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მელ[illegible]